საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 63 19/12/2019

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ კიცხში მდებარე 1518 კვმ. არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა- ნაგებობის (ს/კ 36.10.32.451) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადასაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 108-ე მუხლისა და საქართველოს კანონის “ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61 - მუხლის პირველი, მე - 3, მე-6 და მე - 7 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმდინარე წლის 01 ოქტომბრის N5/58112 მომართვის თანახმად **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ კიცხში მდებარე 1518 კვმ. არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა- ნაგებობა (ს/კ 36.10.32.451) გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში, უსასყიდლოდ, შემდგომში სსიპ „იუსტიციის სახლისათვის“ გადაცემის მიზნით.**

მუხლი 2. დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და ფორმით უზრუნველყოს აღნიშნული ქონების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციისთვის შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების განხორციელება.

მუხლი 3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 05 ივლისის N50/35 განკარდულება **„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ კიცხში მდებარე 1518 კვმ.არასასოფლო - სამეურნეოს დანიშნულების მიწისა და მასზე მდგარი შენობის მეორე სართულზე 233.78 კვმ. ფართის (საზოგადოებრივი ცენტრი) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**
და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 02 ივლისის N50/29 განკარდულება **„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 5 ივლისის #50/35 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ კიცხში მდებარე 1518 კვმ.არასასოფლო - სამეურნეოს დანიშნულების მიწისა და მასზე მდგარი შენობის მეორე სართულზე (საკადასტრო კოდი 36.10.32.451.) 233.78 კვმ.**

ფართის (საზოგადოებრივი ცენტრი) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ცვლილების შეტანის შესახებ“

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 5 .განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 -ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე